ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1900 სამშაბათი, 19 დეკემბერი № 1332

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе"**. **ტელეფონი № 372.**

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 21 დეკემბერს 1900 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

ქ. მ. საფაროვი-აბაშიძის და **ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით დანიშნულია ბენეფისი **ქ. ნ. შათირიშვილისა.** წარმოდგენილი იქნება. პირველად

ახალი პიესა

კარდინალ რიშელიე

დრამა 5 მოქმ. თარგმანი ალექსი-მესხიშვილისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, ტასო აბაშიძე, კარგარეთელი მდივანი და გარელი; ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, შათირიშვილი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, კანდელაკი, ურუშაძე, ავალიანი, იმედაშვილი, მირიანოვი, იორდანოვი და სხ.

დასაწყისი 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია. რეჟისორი **ვ. გუნია.**

მზადდება: ვ. გამყრელიძის და გ. კანდელაკის საბენეფისოდ ბ. ვ. ალექსი-მესხიშვილის და კ. ყიფიანის მონაწილეობით „მეფე ლირი".

უცნაური კრება

ამ დღეებში „ცნ. ფურცელში" მწარე საყვედური იყო გამოცხადებული ადგილობრივ სამეურნეო დაწესებულებათა და სამეურნეო სპეციალისტთა მოღვაწეობის შესახებ. რომ ეს საყვედური გაზვიადებული არ იყო და კანონიერად წარმოითქვა, ამას თუნდ გუშინწინ გახსნილი მეაბრეშუმეთა კრებაც ამტკიცებს.

უცნაურია, მეტი რომ არა ვთქვათ, ეს კრება!.. მისი მოწვევა ადგილობრივ სამეურნეო დაწესებულებებმა განიზრახეს ნახევარი წლის წინად. მაშინვე აირჩიეს საორგანიზაციო ბიურო: შეიმუშავეს მოკლე პროგრამა კრებისა, გამოითხოვეს სამინისტროსაგან ნებართვა და აუწყეს urbizet orbi კრების ამბავი. სოფლის მრეწველთაც ეუწყა მაზრის უფროსების საშუალებით— მოდით კრებაზეო. და აი გუშინწინ გაიხსნა კიდევაც კავკასიის მეაბრეშუმეთა საერთო კრება. მაგრამ რას ვხედავთ? პირველსავე სხდომაზე კრებამ არ იცოდა, რა გაეკეთებინა. სულ წარმოადგინესო, სთქვა თავმჯდომარემ, ოთხიოდ-ხუთიოდე მოხსენება. თვით იმ დაწესებულებას, რომელმაც მოიწვია კრება, არ წარმოუდგენია სახელმძღვანელო რამ მოხსენება მეაბრეშუმეობის მდგომარეობის შესახებ, მრეწველობის ამ დარგის საჭიროებათა შესახებ და სხვა. როდესაც ზოგიერთმა დამსწრემ განაცხადა, საჭირო იყო ამგვარი მოხსენება შეედგინა სააბრეშუმო სადგურსაო, თავმჯდომარემ სთქვა, რომ, როდესაც საჭიროება იქნება, სადგურის მოხელენი ისედაც მოგვაწოდებენ ზეპირად ცნობებსაო. შემდეგ კრება შეუდგა საქმეებს და პირველად მოისმინა... თურქესტანის სამეურნეო საზოგადოების მოხსენება იქაურ საგრენო სადგურის მოღვაწეობის შესახებ! როგორ მოგწონს, მკითხველო, ეს უცნაური ამბავი: კავკასიის მეაბრეშუმეთა კრება იწყება იმის განხილვით, თუ როგორ მუშაობს თურქესტანში არსებული საგრენო სადგური?! რომ კრებაზე იმდენი დარბაისელი წარმომადგენელი არ იყოს და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა მოხელე, გარეშე ვინმე იტყოდა, ეს დაცინვაა და არა სერიოზული კრებაო...

ჩვენებურ მეაბრეშუმეობას დიდძალი საჭიროება აქვს. ეს მრეწველობა თანდათან ვრცელდება ხალხში და მაგარ ფესვებს იდგამს. თუ იგი რიგიანად იქნა წაყვანილი, ნორმალურ პირობებში იქნა ჩაყენებული, დიდ სამსახურს გაუწევს ქვეყანას. დღესაც მეაბრეშუმეობა, ნამეტურ ქუთაისის გუბერნიაში, საგრძნობელ დახმარებას აძლევს სოფლის მეურნეთ; ხოლო თუ ხელი შეეწყო მის ზრდა-განვითარებას, მეაბრეშუმეობა საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებაში. ამიტომაც სათანადო უწყებათ და პირთ ჰმართებთ დიდის ყურადღებით მოეპყრან საქმეს და ეცადონ ეხლავ ააცდინონ ამ მრეწველობას დამაბრკოლებელი გარემოებანი.

სამწუხაროდ, დღეს-დღეობით ჩვენ ვერ ვხედავთ ამგვარს სერიოზულს ყურადღებას. პირიქით სათანადო დაწესებულებანი მეტისმეტ ფორმალიზმს იჩენენ და ისე იქცევიან, თითქო მათ საკანცელარიო საქმე ჰქონდეთ ხელში და არა ცოცხალი, საალებ-მიცემო და სამრეწველო დარგი. კავკასიის სამეურნეო საზოგადოება, საბაღოსნო საზოგადოების განყოფილება და სააბრეშუმო სადგური, რომელთაც უნდა უხელმძღვანელონ ამ საქმეს, უფრო მეტად ერთი-ერთმანერთის კრიტიკას უნდებიან, ერთმანეთში ქიშპობით არიან გატაცებულნი, ვიდრე მრეწველობის არსებით ინტერესებით... რომ ეს ესეა, ამას, ვიმეორებთ, ამტკიცებს დღევანდელი კრებაც. მისი მეთაურნი სრულიად მოუმზადებელნი მოსულან; მათ არ შეუსწავლიათ არც მრეწველთა და მრეწველობის ამ დროინდელი მდგომარეობა, არც მეაბრეშუმეობის საჭიროებანი და მოთხოვნანი, არც განუხილავთ წინანდელ კრებათა ნამუშავარი, არ დაუმზადებიათ წინდაწინვე განსახილველად მოხსენებანი და ისე, ცარიელზე, მიუპატიჟნიათ მრეწველ-გრენიორები. რა უნდა გამოვიდეს ასეთ კრებისაგან?!..

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ადგილობრივი სამეურნეო დაწესებულებანი ერთ ახირებულ ჩვეულებას მისდევენ: ისინი მოწადინებული არიან, რაც შეიძლება ბევრი გამოფენა, კონკურსები და კრებები გამართონ და იმას არ ჰფიქრობენ, თუ რა ღირსებისა არიან ეს კრებები, გამოფენები და tutti quanti. ყოველ წელიწადს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში იმართება გამოფენა გამოფენაზე, კრება კრებაზე, მაგრამ მათ ღირსების შესახებ ძნელია კაცმა ბევრი რამ სთქვას კარგი. ნამეტურ ეს საყვედური ეთქმის ბაღოსნობის საზოგადოების განყოფილებას, რომელიც ინიციატორია მრავალ კრებათა და გამოფენათა და მათ შორის დღევანდელ კრებისაც.

ნუ ივიწყებენ ეს საზოგადოება-დაწესებულებანი, რომ ისინი დიდს საქმეს ემსახურებიან და რომ ფუქსავატ მოქმედებით სრულიად დააფთხობენ ხალხს, რომელსაც ისედაც ცოტა ნდობა აქვს მათი.

* * *

ფელეტონი

წერილი ახალციხიდან.

წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდება.—ახალციხის მაზრიდან ჯარში გაწვეულნი.—ახალციხელი ებრაელნი.

მუდმივი ჯარის შესავსებლად ყოველ წლიურად ოცდა ერთის წლის ყმაწვილ-კაცების ჯარში გაწვევა ჩვეულებრივი და აუცილებელი საქმეა. ამის გამო ამ ამბავს, როგორც ჩვეულებრივს, დიდს ყურადღებას არავინ აქცევს და საგაზეთოდაც ძვირად თუ ვინმე გახდის ხოლმე. მიუხედავად ამისა, მე მსურს მცირეოდენი ყურადღება მივაქციო წრევანდელ ჯარის კაცების გაწვევას და ვჰფიქრობ, რომ ჩემს მიერ ნაამბობი უმნიშვნელო არ იქმნება ქართული გაზეთის მკითხველისათვის.

ახალციხის მაზრა ცხრა სამამასახლისოდაა დანაწილებული, სახელდობრ: უდისა, აწყურისა, ურავლისა, კლდისა, ლეპისისა, ვალესი, ვარხანისა, ადიგენისა და იდუმალისა. როგორც ჰხედავთ, სახელწოდება სულ ჩვენებურია, ქართული, მხოლოდ სარავი ბევრს მათგანში სულ სხვისაა. სამს უკანასკნელ სამამასახლისოში წელს არც ერთი ქრისტიანი, სომეხი და ქართველი, არ იღებდა კენჭს, ეს იმის მომასწავებელია, რომ ქართველობის სახსენებელიც აღარ არის ამ სამამასახლისოებში. მეცნიერებს არქეოლოგია და ეტნოგრაფია რომ არ გამოეგონათ, სულ გლახად იქმნებოდა ჩვენი საქმე, დავის საბუთიც კი დაკარგული გვექმნებოდა. ერთის სიტყვით, წყალწაღებულსავით ჩვენც, როგორც ხავსნა, ამ არქეოლოგიას და ეტნოგრაფიას უნდა წავწვდეთ. მართალია, გაჭირვებაში, როგორც წყალწაღებულისათვის, ვერაფერი ხელ-მოსაკიდებელი საგანია ხავსი, აგრეთვე ჩვენთვის დიდი სანუკვარი რამ არ არის არქეოლოგია და ეტნოგრაფია, მაგრამ რას იზამ, ვინუგეშებთ მაინც თავსა, რომ ოდესმე ეს მხარე ჩვენი ყოფილა, გვიცხოვრია აქა, სისხლი გვიღვრია და აქაური ნიადაგი ჩვენის შრომითა და ოფლით გაგვიპოხიერებია.

აქაური მაჰმადიანობა კანონით ჯარის კაცს არ იძლევა. როგორც მოგახსენეთ, ვარხანისა, ადიგენისა და იდუმალის სამამასახლისოდან არც ერთი ჯარის კაცი არ გამოწვეულა წელს, რადგან ეს სამამასახლისონი სულ თათრებითაა დასახლებული. მკითხველთან ბოდიშს ვიხდი, რომ აქაურ ტერმინსა ვხმარობ. აქ, ვინც მაჰმადის სჯულს აღიარებს, ყველას თათარს ეძახიან, თუნდაც რომ ასეთი თათარი წმინდა ქართულს გელაპარაკებოდეს, სახეც, განსაკუთრებით შესანიშნავი ცხვირი, ჩვენებური ჰქონდეს და გვარადაც ნადირაძე, ან ჭიჭიტაშვილი იყვეს. (ერთი ნეტა გაჩვენათ მოლლა მურად თურმანიძე და მაშინ გნახავდით, რას იტყოდით. მგონი სულ ეს გეძახნათ—არა, ძმავ, ეს თათრის ჯიშისა არ უნდა იყვესო). ახალციხის მაზრიდან სულ გამოწვეული იყო 169 ყმაწვილი კაცი. აქედან ჯარში უნდა გასულიყო 51. წელს პირველად მომიხდა ამ საგნისათვის შეკრეფილი ამოდენა ყმაწვილ-კაცობის ნახვა და გულ-წრფელად ვიტყვი, რომ მათმა ნახვამ სასიამოვნო ფიქრები არ გამიღვიძა. ხალხი სწორედ რომ გადაგვარებისა და გადაშენების გზას დასდგომია. ყმაწვილ-კაცობას ყმაწვილ-კაცობისა არა ეტყობოდათ-რა. ტან-დაბალნი, გაყვითლებულნი, უსუფთაონი საცოდავ სურათს წარმოადგენდნენ. გეგონებოდათ, ეს არის ეხლა წამომდგარან ავადმყოფის სარეცელიდანო. ტანთ-ჩაცმულობა ხომ ისეთი ჰქონდათ, რომ ღმერთმა გაშოროთ უარესის ნახვა. ესენი მომავალ ჯარის კაცებს კი არა, მათხოვართა ბრბოსა და გროვასა ჰგვანდნენ. ერთის ასეთი გლახაკისა გვარიც კი დამახსოვნდა—ეს არის ერასტი სიმონის ძე ბერიძე სოფ. ერკოტიდან. მისი ჩოხა-შარვალი ოცდა ათად იყო მიკერებულ-დაკონკებული და ამ ნაფლეთებში ისე გამოიყურებოდა, როგორც დამფრთხალი კურდღელი. ცხოვრების უკუღმართობას, ქვეყნის წინანდელ გამგეთა სიბოროტეს, სისასტიკეს და სიმტარვალეს მოუსპია აქაური ქართველობისათვის სიმხნევე, სიმამაცე, გმირობა და გულადობა. ამას ზედ დაერთო დღევანდელი ეკონომიური უძლურებაც და მთლად დაძაბუნებულა ოდესმე გულადი და მხნე ერი. ნიშან-წყალი ფიზიკური ჯანმრთელობისა და ზნეობრივი სიმტკიცისა ცოტათი ეტყობოდათ ისევ აწყურის სამამასახლისოს გლეხ-კაცობას, მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამ კუთხის გლეხნი (ქვაბის-ხევი, საკირე, ტაძრისი, უგვარი) ბორჯომის ხეობიდან არიან გადმოსულნი, ოსმალეთის განდევნის შემდეგ.

ჩვეულებად ყოფილა მიღებული, რომ სოფლის ბიჭებს, ჯარში წასასვლელთ, თავიანთი მამასახლისები ჩამოჰყვნენ ხოლმე ქალაქს, სადაც კენჭის ამოღებაა დანიშნული. რადგან თვალი არა მქონდა მიჩვეული, როგორღაც მეხამუშებოდა და თან უცნაურად მეჩვენებოდა, რომ ამოდენა ქართველობას და სომხობას პატრონობას უწევდნენ მამასახლისნი-მაჰმადიანნი. ახალციხის სხვა სამამასახლისოში მამასახლისებად მაჰმადიანნი არიან, მხოლოდ ერთი სომეხი. ესეთი ამბავი, ესე იგი მაჰმადიანის მიერ ქართველის პატრონობა ერთი იმ დიდ ჯილდოთაგანია, რომელნიც წარსულმა დაუტოვა ჩვენ სამშობლოს.

ორმოცდა ერთ ყმაწვილ-კაციდან, რომელნიც წელს ჯარში წავიდნენ, ექვსი ქართველი ფრანგი მოჰყვა, ათი კათოლიკე სომხის აღსარებისა, შვიდი ნამდვილი სომეხი ეროვნებითაც და სარწმუნოებითაც და ოცდა რვა ქართველი მართლმადიდებელი. კათოლიკენი სომხის აღსარებისა არზრუმიდან არიან გადმოსახლებულნი და თათრულის გარდა სომხურიც იციან. მათს სომხობაში

ჟურნალ-გაზეთებიდან

※ ინგლისის ლიბერალთა დასის გაზეთი «ვესტმინსტერ გაზეთა» ამბობს, რომ «იმ მდგომარეობაში, რომელშიც ეხლა ინგლისი იმყოფება, მთავრობა იძულებულია ან დაუტოვოს ბურებს დამოუკიდებლობა, ან საშუალება აღმოაჩინოს მათ დასაპყრობად. სამწუხაროდ ინგლისი თანახმა არ არის პირველზედ; მაგრამ მეორეს მხრივ, არა გვგონია, რომ მთავრობამ მოახერხოს ბურების დამორჩილება. ხოლო მძიმე და მოუხერხებელი მოქმედება მთავრობისა, რომელსაც არა აქვს არც იმდენი სიმამაცე, რომ ზავი შეჰკრას და არც იმდენი ძალა, რომ გამარჯვებულად გაათავოს ეს ომი, — მიიყვანს ინგლისს უფრო მეტ დამცირებამდე, ვიდრე ეხლაა».

※ ინგლისის გაზეთ «ლივერპულ პოსტა»-ის სიტყვით, ინგლისის ახალშენთა სამინისტროს მოჰკვლია დეპეშები მილნერისაგან. კაპის პირველი მინისტრი ბეჯითად იწერება, რომ საქმის მდგომარეობა კაპის ახალშენში ძრიელ მძიმე და საშიშია. ამ ამბებმა დიდი გავლენა იქონიოს ლორდ სოლსბერზედ. ცნობა იმის შესახებ, რომ კაპის ახალშენში ყველა ჰოლანდიელები აიშალნენო, — მტკიცდება.

※ «მანჩესტერ გვარდიან» თავის მხრივ იუწყება, რომ იმ შეწუხების და გაჭირების გამო, რომელშიაც ჩავარდნილია ეხლა ინგლისის სამხედრო სამინისტრო, ლორდ კიტჩენერს აღარ შეუძლიან მიიღოს სამხრეთ აფრიკის ჯარების მთავარ სარდლობა. ამ თანამდებობაზედ, რა წამს ლორდი რობერტსი ინგლისში მოვა, დაუყოვნებლივ დაინიშნება ეველინ ვუდი.

※ თუ რანაირად მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ბურებს იბრძოლონ სანამ პირში სული უდგათ, ეს ჩანს ერთი ანგლიკანური ეპისკოპოზის ცნობიდან. ამ ეპისკოპოზის სიტყვით, ლელაგოას ოლქში მას უნახავს ერთი მომაკვდავი ბური, რომელსაც მედალი ჰქონდა ზედ წარწერით: «ან დამოუკიდებლობა, ან სიკვდილი». ამ ბურის სიტყვით, ბევრი სხვა ბურებიც დაფიცებულნი არიან იბრძოლონ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და იმისთანავე მედლები აქვთ გაკეთებული.

დევეტის ბოლონდელმა გმირულმა საქციელმა ძალიან გადააჭარბა და გადაამეტა წინანდელ მის «საგმირო და გასაოცარს საქმეებსაო, ამბობს რეიტერის სააგენტოს» კორრესპონდენტი.

მიუხედავად იმისა, რომ დევეტს კვალ და კვალ მისდევდა ოთხი ინგლისელი რაზმი, ამას გარდა მეხუთე რაზმიც მარქაფად იყო დატოვებული და მეექვსე ელოდებოდა დევეტს ტაბანჩუს და ლედიბრანდს შუა, ეს საარაკო გმირი მაინც წაუვიდათ ინგლისელებს ხელიდან მთელი და უვნებელი.

გენერალ ნოკსის აზრი ის იყო, რომ დევეტი მოემწყვდია ტაბანჩუსა, ლედიბრანდსა და ბაზუტოლანდის სამზღვარს შუა. გელვეციის ახლო ნოკსმა გაფანტა კიდეც დევეტის უკანა ჯარი და დასავლეთისაკენ სწრაფად წასვლით ბურებს ტაბანჩუსაკენ დააწევინა. დევეტმა გაიგო, რომ ერთი ინგლისელი რაზმი იმყოფება დევეტსდორფში და თითონაც წავიდა გელიუკიდან, სადაც მას სანგარებიცა ჰქონდა გამართული. ნოკსი მისდევდა მას, რამდენიმე საათის სავალზე. ნოკსს ვერ აჩერებდა ვერც კოკისპირული წვიმა, ვერც არდადეგის სიცხე. 12 დეკემბერს დევეტს მოემატა გასსბროკის რაზმი და შეერთებული ჯარები ერთად გაემართნენ პირდაპირ სპრინგზაანისაკენ, რომელიც 15 მილის მანძილზე სძევს ტაბანჩუს აღმოსავლეთით. ნოკსი ერთის საათის სავალზე და იყო უკან. დევეტის მდგომარეობა მეტის მეტი გასაჭირი გახდა მაშინ დევეტმა გასსბროკი დასავლეთ მხარეზე გაგზავნა, რომ ტყუილი იერიში მიეტანა ვიქტორიაზედ, ტაბანჩუს სამხრეთით, თითონ კი ისეთი საოცარი საქმე გაბედა, რომლის სწორი ამ ომის დროს არავის ჩაუდენია. სპრინგზაანი ხეობაა, სიგანით 4 მილამდე, სრულებით ვაკე. მის შესავალში იდგა 2 ინგლისელი სადარაჯო რაზმი ერთი ინგლისელი რაზმი ზარბაზნებით იდგა მთის ქედზე და გაფაციცებით თვალს ადევნებდა ბურებს. უცებ ინგლისელების თვალს წარმოუდგა გასაოცარი სურათი: ბურების მთელი ცხენოსანი ჯარი, დაახლოვებით 2500 კაცამდე. გამწკრივებულნი ერთპირად დაოთხებული წამოვიდნენ ხეობისაკენ. ჯარს შტეინი და პიტ ფურიე წინამძღვრობდნენ. ინგლისელებმა ასტეხეს საშინელი სროლა: ზარბაზნები და თოფები სეტყვასავით აყრიდნენ ბურებს ყუმბარასა და ტყვიასა, ბურები პირველად აღმოსავლეთის მხრიდან ეცნენ ხეობას, მერე ინგლისელების ზარბაზნების მოსარიდებლად ისინი მიბრუნდნენ და ისევ ისე ოთხად გაქანდნენ დასავლეთისაკენ, მთის ძირძირ, სადაც მათ გზაზე მხოლოდ ერთი ინგლისელი რაზმი დაუხვდათ.

ბურებს სრული გამარჯვება დარჩათ: მათ დაკარგეს მხოლოდ ერთი 15 გირვანქიანი ზარბაზანი, რომელიც ინგლისელებისაგანვე იყო წართმეული, ერთი ავტომატიური ზარბაზანი და 25 კაცი, რომელნიც ტყვედ წაიყვანეს ინგლისელებმა. თითონ დევეტი წინამძღვრობდა უკანა ჯარს. გასსბროკის რაზმი ინგლისელებმა გაფანტეს დევეტმა უბძანა გენერალ პრინსლოს, რომ მას სიმაგრე დაეჭირა ტაბანჩუს ახლო და თუ ინგლისელებს ძლიერი წინააღმდეგობა გაეწიათ, მაშინ პრინსლოც უნდა მოჰშველებოდა დევეტს. ინგლისელებმა ცხენოსანი ჯარი გაგზავნეს, რომ დაემალათ პრინსლოსთვის მიეღო მონაწილეობა ბრძოლაში. ეს ცხენოსანი რაზმი წააწყდა ბურების პატარა რაზმს, — 30 კაცამდე და მოსთხოვა დამორჩილება პატარა რაზმმა გადაჭრით უარი განაცხადა. ინგლისელებმა დაუწყეს თოფის სროლა, ორი კაცი მოკლეს კიდეც, მაგრამ ამ სროლაზე მოვიდა ბურების მთელი რაზმი და უკან დაახევინა ინგლისელებს.

※ «ვესტმინსტერ გაზეთში» დაბეჭდილია კერძო წერილი ერთი ინგლისელი ჯარის კაცისა. ეს კაცი სწორედ იმ რაზმში მსახურებს, რომელიც დევეტსა სდევნის. ამ წერილში ნაამბობია შემდეგი.

სამი ჩვენი ვოლონტიორი მტრის დასაზვერავად იყო გაგზავნილი; ისინი შეჰხვედროდნენ დევეტის რაზმს: ბურებს დაეტყვევებინათ და მიეყვანათ გენერალ დევეტთან. ცოტა ფიქრის შემდეგ დევეტმა უთხრა ტყვეებს, მე თქვენ გაგანთავისუფლებთ მხოლოდ ერთი პირობითა — თქვენ უნდა ჩემი წერილი ჩააბაროთ ინგლისელ გენერალ რენდლს, რომელიც მე მდევნის. ტყვეები რასაკვირველია დასთანხმდნენ ამისთანა ადვილ პირობაზე და სიტყვა მისცეს, რომ ამ პირობას ისინი მტკიცედ შეასრულებდნენ. დევეტმა უბძანა თავის კაცებს, რომ ამ ტყვეებისათვის კარგი პატივი მიეცათ და გაუშვა ინგლისელ ბანაკში. როცა დევეტის წერილი გადასცეს გენერალ რენდლს, განთავისუფლებული ჯარის კაცები გაკვირვებული დარჩნენ ბარათის შინაარსით. ამ ბარათში ეწერა: «დიდად პატივცემულო გენერალო, გთხოვთ რომ უკან მიიღოთ ეს სამი უბედური კაცი. როცა მინდა ყოველთვის შემიძლიან ინგლისელი ჯარის-კაცების დატყვევება. თქვენი დევეტი».

※ დევეტზე არა ნაკლებ გული ატკინათ ინგლისელებს, როგორც ვიცით, გენერალ დელარეიმაც. გაზეთ «სტანდარდ» ში ასეა დაწვრილებით აწერილი ბრძოლა მაგალის მთასთან, სადაც დელარეიმ შესანიშნავად დაამარცხა ინგლისელები:

«ეს ბრძოლა მოხდა მაგალის მთის კალთებში ერთ ველზე. ნორტუმბერლანდელ მსროლელებს ეჭირათ სიმაღლეები; თითონ გენერალ კლემენტსი დაბანაკებულიყო 1000 მეტრით მათზედ დაბლა დელარეის ჰყვანდა სულ 1000 კაცი, მაგრამ მას მოეშველა გენერალი ბეიერსი 300 კაცით; ინგლისელებმა ეს ამბავი ვერც გაიგეს. 13 დეკემბერს სკრიჟრაუზედ ინგლისელთა დარაჯებმა დაინახეს, რომ მათთან მიდიოდა ცხენოსანი ჯარის რაზმი; ამ ჯარს ეცვა მუნდირები «კაკი» და ეხურა დიდი შლაპები, მორთული სირაქლემის მაგი ბუმბულებით. ინგლისელ დარაჯებს ეგონათ, რომ ეს იმათი ჯარის რაზმი მოდიოდა, რადგანაც მომავალ რაზმს სწორედ ინგლისური ჯარების ტანისამოსი ეცვა და ამიტომ ხმაც არ გასცეს მათ, ბოლოს და ბოლოს ერთ ადგილას დარაჯები დაუკითხნენ: «ვინა ხართო». პასუხის მაგივრად მომავალმა რაზმმა ერთბაშათ თოფები დაახალა ინგლისელებს და წინ გაიგდო მიწინავე სადარაჯო რაზმები ინგლისელებისა. ამ რაზმებმა დიდის ზარალით დაიწიეს მთავარი ჯარისაკენ. პოლკოვნიკი ლეგგე ბრიტანიის ქვეითა ჯარით და ერთი როტა იამანრით ეტაკა ბურებს, მაგრამ იმ წამსვე თავში ტყვია მოჰხვდა და იქვე უსულოდ დაეცა. რაკი თავიანთ უფროსი მოკლული დაინახეს, ინგლისელები შედრკნენ. ინგლისელმა არტილერიამ დაიწყო საშინელი სროლა და დიდათაც აზიანებდა ბურებს, მაგრამ ამათ წარბიც არ შეიხარეს და მედგრად მიდიოდნენ წინ. დაუყოვნებლივ მოვარდა გენერალი კლემენტსი თავისი აფიცრებით და უბრძანა თავის ჯარებს იერიშით მისვლა, მაგრამ ბურებმა თვალის დახამხამებაში მოუკლეს მაიორი მაკ-ბი და დაუჭრეს შტაბის ყველა ოფიცრები ნორტუმბერლანდელი მსროლელები ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, მაგრამ კლემენტს მაინც იმედი ჰქონდა, რომ ისინი არ დანებებდნენ ბურებს თავიანთ სიმაგრეს დიდი ნაწილი კლემენტსის ჯარისა ბანაკის დაცვას მოუნდა, ამიტომ მან მაშველი ჯარი ვერ გაუგზავნა ნორტუმბერლანდელებს, ბურებმა სამი მხრიდან წრე შემოავლეს ამათ და მიაყენეს ერთ დიდ კლდეს. ან უნდა ამ კლდიდან გადაცვინულიყვნენ, ან უნდა დაჰნებებოდნენ ბურებს. მათ ისევ დამორჩილება არჩიეს და ბურებმა ტყვედ წამოიყვანეს ოთხი როტა, 555 კაცი კლემენტსმა რაკი დაინახა, რომ საშველი აღარ იყო, უბძანა თავის ჯარს, უკან დაეხია. თუმცა მან ყოველნაირი ღონისძიება იხმარა, რომ უვნებლივ გადაერჩინა თავისი ბანაკი, არტილერია და სამხედრო მასალის საწყობები, მაგრამ ესეც ვერ მოახერხა. დელარეის ისეთ მოხერხებულ ადგილას დაეყენებინა თავისი ზარბაზნები, რომ მათ ყუმბარებს ვერაფერი ვერ გადაურჩა; ამას გარდა დელარეიმ გაჰგზავნა ერთი რაზმი თვით კლემენტსის ბანაკის დასაწველად. ბურები მიცვივდნენ ბანაკში და ააფეთქეს სამხედრო სურსათი და მასალა; არა ერთი ბური იმსხვერპლა ამისთანა თავ-განწირულმა გმირობამ. ინგლისის ჯარმა უკან დაიხია, მაგრამ ბურები არ მოეშვნენ, სანამ სრულიად არ დაამარცხეს და ბრძოლის ველი არ დაატოვებინეს.

ეჭვს ვერავინ შეიტანს და არც უნდა ვინმე შეიტანოს, თუ გინდა ხვალ პროტესტანტობა მიიღონ, მხოლოდ მეტის-მეტად აირია ცნობილი „უქაზის“ შემდეგ ქართველ-კათოლიკების საქმე. ოფიციალურად კარგა ხანია მოისპო „ქართველი კათოლიკე“ და ყველას სომხადა სთვლიან. ამას მოჰყვა გვარების ახირებული შეცვლა. მაგალითებრ ბალახაშვილი გადაკეთებულა ბალახოვად. ს. უდისა და არალის კათოლიკეთ სულ ასე წაუბლალავთ თავიანთი გვარები. შერჩენიათ თითო ოროლას ძველი გვარი: პეტრეშვილი, სინოშვილი, ტატოშვილი, მათოზოვ, იგივე ნადირაძე. საზოგადოდ კი უდეელებისა და არლელების გვარები ამ სახით იწერება: მღებაროვი, ზერბეროვი, ბალახოვი, ყულიჯანოვი, ჩავლევი, აზიროვი, მერაბოვი, ფარცახოვი, ჩილინგაროვი, ტატალოვი, აფრიამოვი, ბათმანოვი და სხვა. ესეც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ სიებში ქართველ-კათოლიკებს სწორედ იხსენიებენ, ე. ი. ქართველებად, ზოგიერთ სიებში კი სომხებად არიან მოხსენებულნი.

ქალაქის მკვიდრთაგან კენჭი უნდა ამოეღო 203 ყმაწვილ-კაცს. ამათში 108 სომეხი იყო, ორი რუსი, სამი პოლონელი, 43 ებრაელი, დანარჩენი 46 სომეხ და ქართველ კათოლიკენი. ამ რიცხვიდან ჯარში წაიყვანეს 57 კაცი.

კენჭის ამოღების შემდეგ ყმაწვილები დააფიცეს. ჯერ სოფლელნი: ქართველები დეკანოზმა ხახუტაშვილმა ქართულად, კათოლიკენი-ქართველები მამა ალექსანდრე შაანოვმა ქართულად, სომეხ-კათოლიკენი იგივე მ. შაანოვმა რუსულად სომხურის თარგმანით, ხოლო ნამდვილი სომხების ფიცის დროს მცირედი ინციდენტი მოხდა, რადგან სომხის მღვდელმა ვერ იკისრა რუსულად დაეფიცებინა სომხები. მეორე წყობაზე მოქალაქეთ მიიღეს ფიცი. მართლ-მადიდებელნი: რუს-ქართველნი (ორი რუსი ერია) დააფიცა მღ. ს. ჰუქულაშვილმა, ქართველ და სომეხ კათოლიკენი მამა ალ. შაანოვმა და ებრაელნი რაბინმა. ებრაელების გვარები ჯერ ქართულადვე იწერება.

განსაკუთრებითის ყურადღებით ვუცქეროდი ებრაელების მიერ ფიცის მიღებას. თოვლივით გათეთრებულმა მოხუცმა რაბინმა, გაშალა რა ებრაულად დაწერილი ფიცის ქაღალდი, დაიწყო სიტყვა-სიტყვად კითხვა ფიცისა მშვენიერის უზადო და უნაკლულო ქართულის ენით. მის ნათქვამს მკაფიოდვე იმეორებდნენ ფიცის მიმღებნი.

ჯარის კაცთა გამოსაწვევ სიაში აქაურნი ებრაელნი ისე არიან აღნიშნულნი, ვითომც მათი სამშობლო ენა ებრაული იყოს. ახალციხის ურიებმა იმდენივე იციან ებრაული, რამდენიც ამ სტრიქონების დამწერმა არაბული. მათი ლვიძლი და სამშობლო ენა ნამდვილი ქართულია, ეგენი რომ არ ყოფილიყვნენ, ახალციხის მაზრაში მგონი სახსენებელიც არ ყოფილიყო ქართულისა. ასე იწერება, ბატონებო, ისტორია. ეს სიები დარჩება ისტორიულ დოკუმენტად, ჩაუვარდება შემდეგში ვისმე ახირებულ ისტორიკოსს ან იმისთანა პუბლიცისტს, როგორიცაა ბ-ნი სარუხანი და მოგვდგებიან და ტყავს გაგვაძრობენ. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ახალციხეში ებრაელები ებრაულად ლაპარაკობდნენო და ისტორიული საბუთნიც, ოფიციალურად შემოწმებული, ამას მოწმობენო.

მოდი მაშინ ამისთანა ახირებულ ისტორიკოსს, ან სარუხანისთანა პუბლიცისტს დაუმტკიცე, რომ ყველა ეს ტყუილია. ვინღა დაგიჯერებს, მერე თუ ქარიც იმათკენა ჰქრის. ებრაელების შესახებ შეცდომა სიებში, როგორც გვითხრეს, განზრახ არ მოსვლიათ, უფრო გულუბრყვილობის მიზეზია. ებრაელის ენა მაშ რა უნდა იყვეს, თუ არ ებრაულიო, აღარ გამოუკვლევიათ და ჩაუწერიათ: სამშობლო ენა ებრაულიო.

არაგან.

წერილი ქიზიყიდან

თუთუნი.—ბაზრის უქონლობა.—მუშების გაძვირება.—ქიზიყელი მკლავაძეები.

ვისაც რა სტკივა, იმაზე ლაპარაკობს და ჩვენც ნურას უკაცრავად რომ, ჩვენს გაჭირვებაზე მოგახსენოთ რამდენიმე სიტყვა. ქიზიყი, ეს უკანასკნელი 7— წელიწადია, თამბაქოს თესვამ გაიტაცა. თამბაქოს სთესავს უფრო სოფ. ჯუგაანი, საქობო, ბოდბისხევი, მაშნაარი, ვაქირ-ანაგა და ნაკლებ ვეჯინი. ეს მარტო წახალისებისაგან არ მოსდით; არა, უფრო გარემოებამ აიძულა ხალხი. რაკი ხვნა-თესვამ და პურის მოსავალმა იმდენი ვეღარ მისცა, რამდენიც საჭირო იყო, უფრო ვარაუდიანმა ხალხმა ბედი თამბაქოში სცადა. პირველ ხანებში დიდი მოგება მისცა კიდევაც თამბაქომ და არც დღეს არის საზარალო, თუ კი ღირებულ ფასში გაიყიდება და მუშტარ-მყიდველი ეყოლება. თამბაქო ძრიელ კარგი ღირსებისაც მოდის და როგორც აქ მყოფნი მცოდნე (სპეციალისტები) მთავრობის მოხელე-მეთამბაქონი ამბობენ, ალაგობრივ უკანასკნელი ფასი ამ თამბაქოსი 20 მან. უნდა იყოს ფუთი, მაგრამ აქაურები 7—8 მანეთზედაც მადლობელნი იქნებიან, თუ კი მყიდველი თავის დროზე იქნება. ვისაც არ უნდოდა ნაკლებ ფასებში გაეყიდნათ, იმათ შარშანდელი თამბაქოც ისევ გასასყიდი აქვთ. აქ სულ ორი მყიდველი არის ხოლმე თამბაქოსი და ისინიც ათასი ეშმაკობითა და შუაკაცებით ყიდულობენ ხოლმე, ისე რომ თუ ფასში ვერ მოატყუეს, წონაში მაინც გააცურებენ ან ფულის მიცემაში დაუკლებენ რასმეს. თამბაქოს სთესვენ გლეხნი—შეძლებულნი და შეუძლებელნი. ამ ბოლო დროს ლვდლებმაც მიჰყვეს ხელი და „პრიჩეტნიკებმა“ ხომ თავიდანვე თავი იჩინეს, და რიგიან ბაზრის მოპოვებაზე კი არავინ არას ზრუნავს. ამას წინად ვიღაც ქართველი მოვაჭრე სწერდა წერილს მაჩხაანის ბოქაულს და ცნობებსა სთხოვდა თამბაქოს შესახებ

გამარჯვების შემდეგ ბურები შეიარნენ, ილოცეს და 4 როტა დატყვევებული ინგლისელები გაანთავისუფლეს.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 18 დეკემბერს, ბაქო-დერბენტის რკინის გზით პეტერბურგიდან ტფილისში ჩამობრძანდა მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე.

✦ გუშინ, 12 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის გენერალ-ლეიტენანტის დენის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, გენერალიტეტი და სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

გენერალი დენი მე-70 წლებში კავკასიაში მსახურებდა, შემდეგ იყო ფინლიანდიის სტატს-სეკრეტრად; გარდაიცვალა რომში.

✦ სახალხო განათლების სამინისტროს შეუტყობინებია ტფილისის გუბერნატორისათვის, რომ მას მოუწონებია, მცირეოდენ ცვლილებით, წესდება ტფილისში განზრახულის საზოგადოებისა, რომელსაც საგნად აქვს დახმარება აღმოუჩინოს კავკასიელ სტუდენტებს. ცვლილება ეხება წესდების მე-2 და 18 §§-ს; მე-2 §-ის ძალით, საზოგადოება დახმარების აღმოჩენის წინადვე უნდა დაეკითხოს სათანადო სასწავლებლის გამგეთ — ღირსია თუ არა არჩეული სტუდენტი დახმარებისა; მე-18 §-ის ძალით, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ნება ეძლევა თავისი წარმომადგენელი დანიშნოს საზოგადოების გამგეობაში. საზოგადოების დამაარსებელთ გადაწყვიტეს შეასწორონ წესდების პროექტი ამ ცვლილებათა მიხედვით და წარუდგინონ მთავრობას დასამტკიცებლად.

✦ კვირას, 17 დეკემბერს, ტფილისის საბრეშუმო სადგურის შენობაში, მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის თანაშემწის ბ-ნ ფ. ა. შიმანოვსკის თავმჯდომარეობით, დაიწყო კავკასიის მეაბრეშუმეთა და აბრეშუმის მრეწველთა პირველი კრება. კრებას უმთავრეს განსახილველ საგნად აქვს კავკასიაში და კასპიის იქეთა მხრის მეაბრეშუმეობის ეხლანდელ მდგომარეობის გამორკვევის საქმე და მისი კიდევ უფრო წარსამატებლად ხელის შემწყობ საშუალებათა გამონახვა. თავმჯდომარესაგან კრებაზე წაკითხული, განსახილველად დანიშნულ საქმეთა სია შევსებულ იქმნა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენლის ბ-ნი ბეევსკის განცხადებით კავკასიაში მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის თესლის საქმის გასაუმჯობესებლად საბრეშუმო სკოლის დაარსების შესახებ, კრების მდივნის ი. ქუთათელაძის განცხადებით მეაბრეშუმეთათვის სახელმწიფო ბანკში სამელიორაციო კრედიტის გახსნისა და საზოგადოდ მეაბრეშუმეების სესხით დახმარებისა და მეაბრეშუმეთა ამხანაგობის შესახებ და სხვ. როგორც კრებაზე წაკითხულ ცნობებიდან სჩანს, კავკასიიდან ბათუმისა, ფოთისა და ბაქოს ნავთ-სადგურების საშუალებით, გაუტანიათ 1896 წელში 44,000 ფუთი გამომშრალი პარკი, 1897 წ. — 52,000 ფუთი, 1898 — 57,000 ფ., ხოლო 1899 წელში 127,000 ფუთი. აქედან მარტო ქუთაისის გუბერნიიდან 1896 წ. — 10,000 ფუთი, 1897 წ. — 15,000 ფუთი, 1898 წ. — 22,000 ფ. და 1899 წელში — 36,000 ფუთი. როგორც კრებაზედ გამოირკვა, უკანასკნელს წელიწადში აბრეშუმის საზღვარს გარედ გაზიდვის საქმეს ხელი შეუწყო, სხვათა შორის, იმ გარემოებამ, რომ საფრანგეთში მეტად კარგი ფასი ჰქონდა მას.

✦ კვირას, 17 დეკემბერს, მადათოვის კუნძულზე, დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ სადგომში მოხდა ხსენებულ ამხანაგობის წევრთა კრება, რომელმაც დაადგინა მოახსენონ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს, რომ ამხანაგობა მთავრობისაგან დამტკიცებულ წესდებას სახელმძღვანელოდ შემოიღებს მომავალ 1901 წლის 1 იანვრიდან.

✦ ტფილისში არსდება ახალი საზოგადოება ტფილისის გუბერნიაში სწავლა-განათლების გავრცელებისათვის, საზოგადოებას საგნად ექნება, მოსწავლეთა დახმარება სასწავლებელთა დაარსება, ბიბლიოთეკების გახსნა და სხვა. ამ ჟამად ადგენენ საზოგადოების წესდებას.

✦ პარასკევს, 22 დეკემბერს, მოხდება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც განხილულ იქმნება საზოგადოების როგორც ზოგიერთი მიმდინარე საქმეები, აგრეთვე რამდენიმე საკითხი მომავალ კავკასიის სასოფლო სამრეწველო გამოფენის შესახებ.

✦ რადგანაც კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ საბოლოოდ გადასწყვიტა სასოფლო-სამრეწველო გამოფენა გამართოს ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის ეზოსა და მის გვერდით მდებარე მუშტაიდის ბაღის ნაწილში, საზოგადოების საბჭომ ამ დღეებში მოხსენება წარუდგინა საზოგადოების პრეზიდენტს, კავკასიის მთავარ-მართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს, რომელსაც სთხოვს შუამდგომლობა გაუწიოს მიწად-მოქმედებისა, ფინანსთა და საუფლისწულო უწყების მინისტრებთან შესახებ შემწეობის აღმოჩენისა, რათა საზოგადოებამ თავისის დაარსების დღიდგან 50 წლის შესრულებისა და საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრულების დღის სახსოვრად საიუბილეო კავკასიის სასოფლო-სამრეწველო გამოფენის საქმე საუკეთესოდ მოაწყოს.

✦ როგორც გავიგეთ, იანვარში სახაზინო თეატრში გაიმართება ქართულ-რუსული წარმოდგენა საქველ-მოქმედო მიზნით. სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება „მზის დაბნელება“ და ერთ მოქმედებიანი რუსული პიესა ქართულ-დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოდგენის დასასრულ დადგმული იქნება ცოცხალი სურათები. წარმოდგენის გამართვა ითავა ჩვენის თეატრის კეთილმა მზრუნველმა კნ. ნ. დ. ჩოლაყაშვილისამ, და ეს თავდებია იმისი, რომ დაღარიბებულს კასსას დრამატ. საზოგადოებისას მომავალი წარმოდგენა თვალსაჩინო შემწეობას აღმოუჩენს.

✦ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ მიიღო ბ-ნ ალექსი-მესხიშვილისაგან ქ. ქუთაისში შეკრებილი 44 მ. გარდაცვალებულის კნ. ბ. ავალიშვილის საფლავზე ძეგლის ასაგებად. საზოგადოება ამ შეწირულებისათვის მადლობას უძღვნის ბ-ნ მესხიშვილს და ყველა იმ პირთ, რომელთაც სიაზე ხელი უწერიათ.

✦ კავკასიის მთავარ-მართებელმა ბრძანება მისცა კავკასიის საექიმო მმართველობას, რომ $^0/_0$ $^0/_0$ ყველა იმ თანხებისა, რომელთაც კერძო პირები სწირავენ საექიმო დაწესებულებათ (მიხეილის საავადმყოფოს, საბებიო ინსტიტუტს, საფერშლო სკოლას და სხვათ) ჩარიცხული იქნან ხოლმე ამიერ კავკასიის საეროობო თანხაში.

✦ გუშინ, 18 დეკემბერს, ტფილისის სასამართლო პალატაში განსახილველად დანიშნული იყო ცნობილი საქმე ქალაქ ფოთის პოლიცმეისტრად ნამყოფის ბ-ნ ვოლობუევისა და ინჟენერის მეიერისა; რადგანაც აღმოჩნდა, რომ ვოლობუევს სამოსამართლო პალატისაგან გარდაწყვეტილების პირი არ ჩაჰბარებია და იგი ამ დღეს საქმის გარჩევის დროს სასამართლოში არ გამოცხადებულა, პალატამ შეიწყნარა მისი ვექილის თხოვნა და საქმე გადასდო შემდეგ დროისათვის.

✦ წუხელ, ღამის 11½ საათზე, ტფილისში დაბრუნდა ბაქოდან რკინის გზათა ინსპექტორი ბ-ნი გორჩაკოვი.

✦ გუშინ, 18 დეკემბერს, დილის 7 საათზე, იპოვეს რკინის გზის სახელოსნოების ახლო მოკლული სვიმონ ჯაფარიძე, რომელსაც საკუთარი აგურხანა აქვს ტფილისში. მკვლელის ვინაობა არ იციან.

✦ ამ რიცხვში მკითხველთ ვაცნობეთ საქმე ქ. ბ. რობაის და ოქრომჭედლის ფრიდმანის შესახებ. ახლა გვატყობინებენ, რომ ფრიდმანს კიდევ აღმოჩენია ერთი სიყალბის ჩადენა. შარშან ცირკის დირექტორს ნიკიტინს შეუკვეთნია ფრიდმანისთვის ოქროს მედლები, რომლებიც უჩუქნია ბენეფისზე თავის არტისტებისთვის — ალპერინისა და ბერნანდისათვის. ახლა ნიკიტინს ოდესიდან უკანვე მოსვლია ეს მედლები ხსენებულ პირთაგან, რადგანაც აღმოჩენილა, რომ მედლები სპილენძის ყოფილა. ნიკიტინს პოლიციაში განუცხადებია ეს ამბავი.

✦ შაბათს, 16 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე რაჭის მაზრის, სოფელ ჭიორას მცხოვრების გლეხის ათანასე ზაქრიას ძის ჩაგველაშვილის, რომელსაც ბრალად ის ედებოდა, რომ მან 1899 წლის 25 აპრილს ხნების დროს თავის მეზობელს ივანე რეხვიაშვილს დაჰკრა თავში ქვა, რისგანაც რეხვიაშვილი რამდენიმე ხნის შემდეგ გარდაიცვალა. ქუთაისის ოლქის სასამართლოს, განუხილავს რა ეს საქმე, დამნაშავედ უცვნია ჩაგველაშვილი რეხვიაშვილის მოკვლაში და გარდაუწყვეტია მისთვის 6 თვის ვადით ციხეში დაპატიმრება და სასულიერო მთავრობის დანიშვნით საეკლესიო მონანიება. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

✦ პოლიციის მეათე ნაწილში, გოგოლის ქუჩაზედ, ხვედელიანის სახლის ახლო, პოლიციის მოხელეს უნახავს მიგდებული ბავშვი მამრობითი სქესისა. ბავშვი ტფილისის საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

✦ კვირას, 17 დეკემბერს, ტფილისის პოლიციის მეათე ნაწილში გამოცხადდა ტფილისის მეორე გიმნაზიის მოსწავლე ბარის ლენქო და განაცხადა, რომ მე ნაძალადევს იქით ხრამში ვნახე დაგდებული ვიღაც მოკლული კაცის გვამიო. გამოძიებას მოკლული კაცის ვინაობა ჯერ ჯერ გამოურკვევია.

* * *

არ ვიცით ბოქაულმა რა პასუხი მისცა იმ მოვაჭრეს; მხოლოდ ამას კი დაჰეშმარიტებით ვიტყვით, რომ ქიზიყში დღეს დიდძალი თამბაქოა და ძალიან კარგი ღირსებისაც. თუ რიგიანი ვაჭარი გამოჩნდება ვინმე, ან მთელი ამხანაგობა, მაშინ შეიძლება დღევანდელზე სამზე მეტი მოიყვანონ. ვისაც ჰსურს ქიზიყში თამბაქოს ყიდვა ის უკეთესად ისარგებლებს, თუ თვით ქიზიყში მოვა, თორემ თუ გარედან ამბების გაგებას შეუდგა და მერე აქაური მოვაჭრეებისაგან, ბევრს ვერას შეიტყობს.

თამბაქოს თესვამ თუ თვით მეთამბაქოები წელში გაამაგრა, ფულის პატრონები გახადა და მუშა ხალხს სამუშაო გაუჩინა, ამის მაგიერ, მუშის ფასი მთელს ქიზიყში ძალზე ასწია. თამბაქოს ფასი თუ იტანს ამ სიძვირეს, პურის მხვნელს მეტად აზარალებს. საქონლის პატრონს მოჯამაგირე ველარ უშოვნია და წელს ბევრი ურმისა და საქონლის პატრონი დარჩა უშმოდ. ამ გარემოებამ ქ. სიღნაღზედაც იქონია გავლენა და მუშის ფასმა ისე აიწია სიღნაღში, რომ დაუჯერებელი სიძვირე ჩამოვარდა. საჟენი შეშა — 40 მან. ავიდა, როდესაც 16 — 23 მანეთი იყო ხოლმე. პატარა ბიჭის შოვნა ხომ მეტად გასჭირდა და, იმედია, ამას იქით უფრო გაძვირდება და ბევრი პატარა მოხელის ოჯახი უნდა გამოეთხოვოს მოსამსახურის ყოლას და თითონ იკისრონ მოსამსახურის საქმის შესრულება.

ამ გარემოებას ხელს ვერ შეუშლის ვერც სიღნაღელების წუწუნი და ვერც ზოგიერთების აზრი, ვითომ ადმინისტრაცია ჩაერიოსო; ეს გარემოება ეკონომიური ვითარებისაგან არის გამოწვეული და, თუ უფრო უარესი არ მოგველის, უკეთესს დროს ველარ შევესწრობით, მით უმეტეს, რომ დღე დღეზე რკინის გზას გამოატარებენ და ახლა ის მოინდომებს მუშა ხელს. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ თამბაქომ თუ მუშის დღიური ფასი ასწია და ფული დაატრიალა ხალხში, სამაგიეროდ ძალიან დაასნეულა ხალხი. რაკი მეტ ფასს აძლევენ, მეტსაც ამუშავებენ. თვით ისინიც, ვინც ნარდად მუშაობენ, ძალას ატანენ თავიანთ თავს მუშაობაში, დილის 3 საათიდან ღამის 10 საათამდინ და მეტსაც მუშაობენ. ამათი შესვენება მარტო პურის ჭამის დროა. ამას დაუმატეთ ცუდათ კვება და შეზღუდულ ალაგას მუშაობა, ნამეტნავად ვიწრო ჩარდახებში ხელის ლამპის ბოლში. ამასთან თითქმის ყველა თამბაქოში მომუშავე ეწევა თუთუნს უბრალო ქაღალდში შეგრეხილს. ყველა ეს ერთად კი თამბაქოს სულით და ნიკოტინით შხამავს მათ გვამს და აავადმყოფებს. პირველ შეხედვითვე ემცნევათ თამბაქოში მომუშავეთ. იმ სოფლებში, სადაც თამბაქოს მოყვანას მისდევენ, სწორეთ სამწუხაროა ყმაწვილი ბიჭების ნახვა. ფერი არავის ადევს. დროა ვისიც ჯერ არს ეხლავე ყური მიუგდონ მეთამბაქოეთა გარემოებას. მუშაობის დრო შეამოკლონ, მათი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილებიც გააწესრიგონ.

ქვემო ქიზიყში თუ აუტანელი შრომა და გარჯა ლუკმა პურისთვის უსპობს კაცს სიცოცხლეს, ზემო ქიზიყში თავად ვ—ბი უსპობენ ისეც მოკლე დღეს კაცს. ამ დღეებში (12 ქრისტეშობისთვეს) თავად მ. ვ—ძეს შემოჰკდომია გლეხი საბა ჯაბაშვილი. მერე რა ჰქონდათ საერთო თავისუფალ ქიზიყელ გლეხს და თავმომწონე თავადს?! აი რა, ბატონებო! თავად ვ—ებს ალაზანს გაღმა თავიანთ საუბედუროდ საერთო გასაყოფი ტყე აქვთ, ამ ტყით ისა სარგებლობდა, ვისაც ნაკლები წილი აქვს — მხოლოდ დიდი მუშტი, იარაღში ჩამჯდარა და თავზე ხელი აუღია. ყოველ დღე ცემა-ტყეპა, ცარცვა გლეჯა და დავიდარაბა. ერთი მისცემდა ბილეთს, მეორე სცარცვავდა. ჩხუბი, კაცის დაჭრა და სიკვდილი. ბევრიც ციმბირში ემგზავრებოდა. ეს წესი იყო უკანასკნელ ორ წლამდე. ამ ორი წლის წინ კი თავ. ბ. ვ—ს მხნეობითა და მეცადინეობით და სხვა დარბაისელ თავადთა დახმარებით დადეს ურთიერთ შორის პირობა და შეკრეს ტყე. ტყიდან სარგებლობა ჩააბარეს გამგეობას, რომელიც შესდგება სამი კაცისაგან. უგამგეობოთ არც ბილეთის მიცემა და არც საშინაოთ ტყის გამოტანა არავის შეეძლოთ. შარშანდელმა ანგარიშმა აჩვენა, რომ გამგეობას 6000 მანეთი შემოსავალი ჰქონია, რომელიც წევრებზე დაურიგებია. ტყიდან ყველა მეოჯახეთ ერთნაირად უსარგებლნიათ და ტყეც შენახულა; ეს იყო წესიერად, მაგრამ იმათ, ვისაც კანონი, ღირსება და პატივი მუშტზე უწერიათ, მალე მოსწყინდათ წესიერება და მოითხოვეს პირობის დარღვევა. რადგან პირობის დარღვევა ვერ შესძლეს, გამგეობის გამოცვლა მოინდომეს, გამგეობის გამოცვლასაც ხომ საბუთი უნდა და ამ ვაჟბატონებს კი ხელთ არა ჰქონდათ რა. მაშინ აიღეს და ძალას მიჰმართეს. ჯერ წინა დღეს წასულიყვნენ რამდენიმე ახალგაზდა თავადი და გამოერეკნათ გამგეობისაგან დაყენებული ყარაულები. მეორეთ, რომ გაეგოთ გამგეობამ ყარაულები გაგზავნა ტყეშიო, გაქცეულიყვნენ და წინ კი საცოდავი ჯაბაშვილი დახვედროდათ. ბრწყინვალე თავადს ჯერ ბიჭებისათვის ეცემინებინა და მერე ერთი თითონაც გადუკრავს კეტი ჯაბაშვილისათვის, რომელიც იქვე დაცემულა უსულოთ. „აქლემები წაიკიდნენ, კოზაკი შუაში გამოჭყლიტესო“, სწორედ ესე დაემართათ ამათ. თუ ამ პატიოსან ხალხს გამგეობასთან და თავიანთ მოძმე მოგვარე თავადებთან აქვთ საქმე, რა შუაშია ყარაული. ეს ხომ უბრალოა ამ საქმეში. ეს მათ ტყეს ინახამს. ვისაც დარჩება, ამისთვის ერთი იყო, ოღონდ კი თავის შრომისათვის ჯამაგირი მიეცათ, ტყის ყარაული რა შუაში იყო და არის, მაგრამ რას იზამ! ამასაც შეგნება უნდა თუ არა. რაქნას, როცა „ავსა კაცსა ავი საქმე ურჩევნიან სულსაც, გულსაც“.

დ—მე.

პრესსა

ერთი შორს-მყოფი ქართველი დაჰკითხებია ბ-ნ ჟორდანიას, გაზეთ „კვალის" თანამშრომელს, წვრილი ერნი უნდა ცდილობდნენ დაიცვან თავისი ხალხოსნობა თუ არაო და ბ-ნი ჟორდანიაც უპასუხებს: ეს კითხვა თან ატარებს თავის პასუხსო, თავის-თავად ცხადიაო, რომ რაკი ქვეყანაზე ვინმე იშვა, არის ეს ბუნების გვირგვინი, თუ უბრალო ჭია, ის ამით იძულებულია თავის თავი დაიცვას.. ეს ბუნების კანონია და ამას ჰმორჩილებს ყოველიო და ამ კანონს ვერ გადუხვევს ერიცა. ერი უეჭველად სცდილობს გაიზარდოს, გამაგრდეს და ცხოვრების ასპარეზზე შესაფერი ალაგი მოიპოვოსო, და სხვა.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ შორს მყოფ ქართველის კითხვას, ჩვენის მიხედრით, სხვა გვარი პასუხი უნდოდა ბ-ნ ჟორდანიასაგან, და აი რატომ ვფიქრობთ ამას. გაზეთი „კვალი" და მისი თანამშრომელი, როგორც თვითონ ირწმუნებიან, უნდა აღიარებდნენ ისეთ სოციოლოგიურ მოძღვრებას, რომლის მიხედვით კაცობრიობის ისტორია მხოლოდ კლასსთა ბრძოლაა და სხვა არაფერი. უთუოდ ეს გარემოება ჰქონდა სახეში დამკითხველს და, მართლაც, სახეში მისაღებიც არის. დიაღ, ერი არსებობს, იგი სცდილობს გაიზარდოს, გამაგრდეს და ცხოვრების ასპარეზზე შესაფერი ალაგი მოიპოვოს; მაგრამ ამ მისწრაფებას, ინსტიქტიურია იგი თუ შეგნებული, წინ ეღობება ბევრი რამ ხელის შემშლელი და ამ ბევრ რამეში ერთი უმთავრესთაგანია მეორე ერის მისწრაფება ამგვარივე მიზნისაკენ. წარსული ისტორია და აწმყო მდგომარეობა უეჭველი საბუთია ერთა ინტერესების შეჯახებისა და მათ შორის განუწყვეტელი ბრძოლისა და ჭიდილისა. ამას, მგონი, ვერ უარჰყოფს ჰეგელის დიალექტიკის მიმდევარიც.

ერთი სიტყვით, არსებობდა და არსებობს საერთაშორისო ბრძოლაც. ბ. ჟორდანიას უნდა მიექცია ყურადღება იმისათვის, თუ რამდენად ეთანხმება მის მიერ აღიარებული სოციოლოგიური მოძღვრება ამ ფაქტს. ის კი გვერდს უვლის ამას და უმნიშვნელო, ზოგადი ხასიათის ფრაზებით იძლევა პასუხს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ შორს-მყოფი კორესპონდენტიც სხვა გვარ პასუხს მოელოდა.

⁂

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობისთანა უბედური დაწესებულება ჩვენ არა გვყავს მეორე. იგი ნამდვილი დაბალი ლობეა, რომლის გადაბიჯება და უდიერად გალანძღვა ყველას საჭიროდ მიაჩნია. რა და რა ჭორი და მითქმა-მოთქმა არ გვესმის ხოლმე მის შესახებ, მაგრამ ბულვარზე გაგონილს ჭორს რა ფასი აქვს; ცუდი ის არის, რომ ჩვენი გაზეთებიც ხშირად იმეორებენ ბულვარზე ყურმოკრულს ამბავს და ამით სამსახურს კი არ უწევენ ჩვენს სცენას, არამედ აფერხებენ მის საქმეს... ნიმუშები იმისა, თუ რამდენად მოუფიქრებლად და გაუფრთხილებლად იხსენიებენ ჩვენის თეატრის გამგეთ ზოგიერთი მეგაზეთეები, ბევრია, მაგრამ ჩვენ სახეში არ გვქონია მათი დასახელება; ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ ერთი ნიმუში, რომელიც „ივერიის" უკანასკნელ №-ში ამოვიკითხეთ. გაზეთის რეცენზენტი, სხვათა შორის, სწერს:

> ჩვენის აზრით, დრამატ. საზოგადოების გამგეობა დიდად სცდება, რომ დრამატიულ მსახიობქალისათვის სხვაგან გარბის, ან კიდევ დრამატიულ როლებისათვის ყოვლად შეუფერებელი ქ-ნი კარგარეთელისა გამოჰყავს და ჩხეიძისას კი გზას უქცევს...

მიაქციეთ, მკითხველო, თქვენი ყურადღება ამ უკანასკნელს ფრაზას: დრამატ. საზ. გამგეობა ქ-ბ-ნ ჩხეიძეს „გზას უქცევს". ვითომ რაო, რის თქმა უნდა ამით რეცენზენტს? რა უნდა იფიქროს „ივერიის" მკითხველმა, ამ ფრაზას რომ წაიკითხავს? ეჭვს გარეშეა, ის იფიქრებს, რომ გამგეობა განზრახ არ იწვევს ქ-ნ ჩხეიძისას თავის დასში რაღაც იდუმალ მიზეზებისა გამო. რისთვის წამოროშა რეცენზენტმა ამგვარი უადგილო საყვედური საქმის გაუგებრად? ჩვენი საზოგადოების გამგეობას წინედ კიდეც მოუწვევია ქ-ნ ჩხეიძისა, მაგრამ საოჯახო მიზეზისა გამო მას არ უნებებია ტფილისში გადმოსვლა. ესეც რომ არ იყოს, რისთვის უნდა მოვაშოროთ ქუთაისს ნიჭიერი მსახიობი? ქუთაისის სცენა თუ არსებობს, ისევ ბ-ნი ალექსი-მესხიშვილის და ქ-ნ ჩხეიძის მონაწილეობის წყალობით არსებობს. რათ უნდა შეუშალოს ხელი ჩვენმა გამგეობამ ქუთაისის თეატრს, იმ გარემოებამ, რომლის მოვალეობაა ყველგან ეცადოს ქართულ ხელოვნების განვითარებისათვის?!.

პროვინცია

დ. ახალ-სენაკი. დაბა ახალ-სენაკში ყოველ-გვარი დაწესებულებაა, რაც სამაზრო ქალაქისათვის საჭიროა, მაგრამ არა აქაურების თაოსნობით, არამედ მთავრობის მოწყალებით. აქაურების უმთავრესი იდეალი «პროვინციალური შენ-ჩემობა» და ერთმანეთის მტრობა-ქიშპობაა. დაბის კეთილ-დღეობისა და მისი წარმატებისათვის იმდენად იწუხებენ თავს, რამდენადაც სენაკისათვის უცხოელი. ახალ-სენაკის ადგილ-მდებარეობა ნათლად უმტკიცებს მნახველს, რომ იგი სამაზრო დაბა კი არ უნდა იყოს, არამედ ქალაქად უნდა გადაკეთებულიყო, მაგრამ სად იყო მამა-პატრონი? მართალია, სენაკს ჰყავს ეგრედ-წოდებული «დეპუტატები», მაგრამ ჯერ-ჯერობით ამათაც არა გაუკეთებიათ-რა. დიდ საქმეს ვინ მოსთხოვს მათ, როცა სულ ცოტაზედაც ვერ ზრუნავენ? დაბის წარმომადგენელთ იმდენად დაჰკლებიათ თვალის ჩინი, რომ ვერ შეუმჩნევიათ შუა-გულ დაბის ერთად-ერთი ჭა, რომლითაც ნახევრამდი ქალაქის მოვაჭრეები და სოფლიდან მოსული ხალხი იკლავს წყურვილს და მით ამზადებენ საჭმელს, ეს რამდენიმე თვეა, რაც ამ ჭის ქვით ამოკირული თავი დაინგრა, ქვები აქეთ-იქით გაიფანტა და შიგ ვარდება ტალახი და ფეხისაგან აზელილი ნეხვი. ნეტა ბევრი მაინც დაჯდებოდეს ამ ჭის თავის გაკეთება! დიდი, სულ 5—10 მანეთი. ნუთუ ამის გამოღება არ შეუძლია იმ დაბას, რომელიც ქალაქად გადაკეთებას მოელის დღე-დღეზედ! სასურველია ყურადღება მიექცეს ამ ჭას და მალე გაკეთდეს იგი, თორემ შესაძლებელია, რომ ღამე ბნელაში ვინმე ჩავარდეს შიგ და დაიხრჩოს.

აქაური ქუჩები ხომ ქუჩებს არა ჰგავს. ერთი წამოწვიმდება თუ არა, მუხლებამდის ტლაპო დგება. ქუჩები დაღრო-ჩაღროვებულია, მაზედ სიარული ყოვლად შეუძლებელი, განსაკუთრებით ბნელ ღამეში, თუ ფანარი არა გაქვთ, სადმე ჩავარდებით და ცხვირ-პირს დაიმტვრევთ. არა ნაკლებ სახიფათოა აქაური დუქნების წინა აივნები. ბეწვის ხიდზედ გასვლას ამჯობინებთ, ამათ წინ გავლას.

აქაურს საუანთროსთან ირგვლივ უშველებელი ტლაპოს მორევი დგას. კაცს დიდად უჭირს სოფლიდან შემოტანილ სურსათ-სანოვაგის ყიდვა. კარგი იქნება, ცოტა ხვრეში მოაყრიდნენ და მით დაიხსნიდნენ ხალხს. ფანრები აქა-იქ დასობილია, მაგრამ ყველას როდი ანთებენ: აქა-იქ ანთებენ და ისიც ოდნავ ბჟუტავს. ნეტა ვიცოდეთ, რისთვის აძლევს დაბა ფულს მოიჯარადრეს, თუ კი არ აანთებს ფანრებს?!.

დეკემბერი კარგის დარებით დაგვიდგა, მაგრამ სოფლიდან შემოტანილი შეშა ერთობ ძვირია. საჟენი შეშა 12—13 მანეთად ჰფასობს, რაიც არას დროს არა ყოფილა. სოფლებში ძალიან გახშირებულია ინფლუენცია; იშვიათია ისეთი ოჯახი, რომ ამ სენით ორი-სამი ავადმყოფი არ იწვეს. გარდა ამისა ყივანახველამ პატარა ბავშვებს უფრო გაუჭირა საქმე. ბევრი კიდეც იმსხვერპლა ამ სენმა, ავადაც მრავალია.

ტ. სენაკელი

დ. აბაშა (სამეგრელო). სულ ოცი წლიწადი იქნება მას აქეთ, რაც სოფ. საკაჭარავოში პირველად გაჩერდა მატარებელი და ამ ადგილს დაერქვა სახელად სადგ. აბაშა (სახელი «აბაშა» წარმოსდგა იქიდან, რომ სოფ. საკაჭარავოს დასავლეთით ჩაურბის მდინარე აბაშა). მატარებლის გაჩერებას მოჰყვა დუქნების გაშენება და მოკლე ხანში აბაშა მცხოვრებთა რიცხვით, ვაჭრობით და სწავლა-განათლებით ძალიან წაიწია წინ. თორმეტი წლის უკან აქ დაარსეს ორ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, შემდეგ ერთკლასიანი ვაჟების სამრევლო სკოლა, აფთიაქი და ფოსტა. ამ უკანასკნელს დაბა აბაშის მოვაჭრეები მთელი ექვსი წლის განმავლობაში თავიანთის ხარჯით ინახავდნენ; დღეს კი სახელმწიფო ხარჯით ინახება. განსაკუთრებით ამ უკანასკნელს დროს მიაქციეს ყურადღება აბაშელებმა სწავლა-განათლების საქმეს: ამ წელში მღვდლის ხოჩოავას და მასწავლებლის მიხეილ არძაიას თაოსნობით შეგროვილ იქმნა საჭირო ფული და ნებართვაც უკვე მიიღეს აბაშაში უფასო სამკითხველოს დაარსებისა*). იმავე მღვდლის ხოჩოავას თაოსნობით ყველა საჭირო ქაღალდები შედგენილ იქმნა და წარდგენილი დასამტკიცებლად ქუთაისის გუბერნატორთან, რათა აბაშაში ნებადართულ იქმნას სამარხო კასსის დაარსება იმ წესით, რა წესითაც ფოთში არსებობს. წლის პირველ სექტემბრიდან დაბა აბაშაში გახსნილ იქმნა ერთკლასიანი სამინისტრო საქალებო სკოლა სახელმწიფო ხარჯით სამინისტრო სკოლის ზედამხედველის ფ. დგებუაძის მეცადინეობით. ნოემბრის პირველ რიცხვებში დაბა აბაშაში ვაჭრებმა თავიანთის ხარჯით დაარსეს წერა-კითხვის სამრევლო საქალებო სკოლა, რომლის გადაკეთებასაც აპირობენ მომავალის წლისათვის 2 კლასიან სკოლად. მადლობის ღირსია მღვ. მ. რ. ხოჩოავა ამ სკოლის გახსნის თაოსნობისათვის. წელს სამინისტრო საქალებო სკოლაში ადგილის უქონლობისა გამო მოსწავლე-ქალებს კენჭის ყრით ღებულობდნენ და იმათაც იმავე საზოგადოებისას, რომელ საზოგადოებასაც სკოლა ეკუთვნოდა, თორემ გარეშე საზოგადოების ბავშვებისათვის ხომ სულ დახშული იყო სკოლის კარები. მნახველს ქვის გულიც რომ ჰქონოდა, მაინც შეებრალებოდა აბაშელი ვაჭრის შვილების დაღვრემილი სახე, როცა ისინი თავის წიგნებით სახლში მიდიოდნენ სკოლიდან დაბრუნებულნი. აბაშელი ვაჭრები არავითარს ხარჯს არ ზოგავდნენ, ოღონდ თავიანთი პაწაწინა ქალიშვილების დაკოდილი გული გაეკურნათ. მღვ. რ. ხოჩოავამ მიჰმართა თხოვნით სასულიერო მთავრობას, აბაშის მოვაჭრეებს ჩამოართვა პირობის ხელ-წერილი, რომ ისინი მომავალ სექტემბრისათვის შეიძენენ სკოლისათვის საკუთარ შენობას და ბინას და სკოლაც დაარსდა. ამ წელში სკოლისათვის სახლი დაიქირავეს, მოწაფეთა და მასწავლებლისათვის საჭირო ავეჯეულობა შეიძინეს, მასწავლებლად მოიწვიეს ქუთაისის ეპარქიალურ სკოლაში კურს-დამთავრებული ქ-ნი ო. იოსელიანის ასული, რომელსაც წლიურ ჯამაგირად აძლევენ 300 მანეთს.

აბაშელი

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

18 დეკემბერი.

პეტერბურგი. 17 დეკემბერს, დიდი მთავრინის ელისაბედ მავრიკის ასულის, დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის და ჰერცოგის გიორგი გიორგის ძის მეკლენბურგ-სტრელიცკის თანადასწრებით, პასსაჟის ახალ დარბაზში გახსნილ იქმნა საერთაშორისო სამხატვრო-სამრეწველო გამოფენა კერამიულ ნაწარმოებთა. გამოფენა გაიმართა დიდი მთავრინის ელისაბედ-მავრიკის ასულის მზრუნველობით და იმყოფება მის მფარველობის ქვეშ.

ლონდონი. ნიუკესტლიდან მოსულ დეპეშაში ნათქვამია, ხმა არისო, რომ ლუი ბოტას შეუტყობინებია სპრუიგტის კომენდანტისთვის, ვითომ კრიუგერს მიეწეროს: ბურებმა ან უნდა დაჰყარონ იარაღი, ან უნდა განაგრძონ ბრძოლაო, რადგანაც ყოველივე იმედი დაკარგულია ევროპიელების დახმარებისაო.

პარიზი. ცინმა და ლიხუნჩანგმა ელჩებს შეატყობინეს იმპერატორის ბრძანება, რომლით იმპერატორი აცხადებს სახელმწიფოთა საერთო ნოტის მიღებას, აძლევს რწმუნებას ლიხუნჩანგსა და ცინს მოლაპარაკების დასაწყებათ და ითხოვს სამხედრო მოქმედებათა მოსპობას. ცინმა და ლიხუნჩანგმა განაცხადეს, რომ იმპერატორს ჰსურს დაჩქარდეს მოლაპარაკება და სამშვიდობო ხელშეკრულების ხელის მოწერა და ჰსურს აგრეთვე თებერვლის დამლევს დაბრუნდეს პეკინში.

ბაქო. 17 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე, ცეცხლი გაჩნდა ბალახანა-რომანინის კასპიის ამხანაგობის, მანთაშოვის და ფითოევის ნავთის ქარხნებში. საღამომდის დაიწვა 25 ფანტანი და სამი ბეღელი. ზარალი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი.

კიახტა. ზაბაიკალის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა გაიარა კიახტასა და ურგაზე—აქ იმყოფებიან მონგოლთა სასულიერო უწყება და რუსეთის უმთავრესი საკონსულო—და დაბრუნებისას ინახულა რუსების ახალშენი, რომელიც იმყოფება მდინარე იროზე, იჯარით აღებულ მამულზე, კიახტიდან 70 ვერსტის მანძილზე. ახალშენი დაარსებულია, ეს ოთხი წელიწადია, კიახტელ კომერსანტის ი. ს. კირნაკოვისაგან. სამხედრო გუბერნატორს მცხოვრებნი მიეგებნენ პურ-მარილით. სტუმარმა გამოჰკითხა, თუ როგორც ცხოვრობენ ახალშენში და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მონგოლებზე და ჩინელებზე თავისი სადა ყოფაქცევით და თავმდაბლობით. დღეს გუბერნატორი ჩიტუში წავიდა.

ლონდონი. გენერალ კოლვილს ლაპარაკი ჰქონდა „რეიტერ. სააგენ. წარმომადგენელთან იმის შესახებ, თუ რად გამოიწვიეს ის სამხრეთ-აფრიკიდან. იმან სთქვა, რომ ლინდლეის დაკარგვაში მას ბრალი არა აქვს, ეს ბრალი იყო უმთავრეს შტაბიდან მოსულ არეულ ცნობებისა, აგრეთვე კომენდანტ სტრაკეს და იმ 500 იომანრის ჯარის კაცთა, რომელთაც იარაღი დაჰყარეს ლინდლეისთან. მან, კოლვილმა, რობერტსისაგან ბრძანება მიიღო გამოანგარიშებულ დროზედ ყოფილიყო გელბრონში იგი თანხმა არარის იმისა, რომ იომანრთა უზრუნველ ყოფა უფრო დიდ მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ინტერესები შოტლანდიის ჯარის იმ 4000 კაცისა, რომელიც მის უფროსობის ქვეშ იყო, ან და ვიდრე ინტერესები საერთო მოძრაობისა. გენერალმა დაუმატა, რომ მას არა ჰსურს დაბალ ლობედ გაუხდეს იმ უმთავრესს შტაბს, რომლისადმი მას კიდევ ბევრი აქვს სასაყვედურო სხვა კითხვათა შესახებაც.

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Открыта подписка на 1901 г.
на литературн., обществен. и политич. ежемѣсячн. армянскій журналъ

„МУРЧЪ".

Составъ редакціи и постоянныхъ сотрудниковъ НОВЫЙ. Членами редакціи состоятъ гг. ЛЕОНЪ САРКИСЯНЪ И ЛЕО.

ПРОГРАММА: Беллетристика и поэзія; новости русской и иностранной литературы; критика и библіографія; хроника внутренней жизни: иностранное обозрѣніе; письма изъ-за границы: провинціальная жизнь; экономическіе вопросы; изъ области науки, искуства и техники. Объявленія

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: съ достав. въ Россіи и за границу:

на годъ . . . 10 рублей.
„ ½ года . . 6 „

Гг. подписчики благоволятъ обращаться съ требованіями о подпискѣ въ Тифлисъ, въ редакцію „М У Р Ч Ъ" (Эриванская площадь, д. В. Харазовой).

Редакція открыта отъ 10 час. утра до 2 час. дня; по воскреснымъ и праздничнымъ днямъ редакція закрыта.

Издатель и времен. редакторъ К. Красильниковъ.

---

*) უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნას ჩვენ არავის ვურჩევთ, რადგანაც ეს ბევრს უხერხულობას წარმოადგენს, რომელთაგანაც ერთი უმთავრესთაგანი ის არის, რომ ამგვარ ბიბლიოთეკაში მარტო სამინისტროსაგან მოწონებულ წიგნების ქონა შეიძლება, მაშინ, როდესაც ფასიან ბიბლიოთეკებში ყველა ცენზურის-მიერ ნება-დართული წიგნები და, მაშასადამე, ქართული წიგნებიც შეიძლება იქონიოს კაცმა. რედ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Декабря 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.